



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12
2017 წლის 17 თებერვალი
ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის
2017 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №7 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 9 თებერვლის №07/2/2062 მომართვის საფუძველზე.

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2017 წლის პრივატიზაციის გეგმა:

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე 420 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №72.03.30.343. საწყისი საპრივატიზებო საფასური განსაზღვროს 15 405 (თხუთმეტიათასოთხასხუთი) ლარით.



1.2. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში მდებარე 424 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №72.06.12.814. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 7 637 (შვიდიათასექვსასოცდაჩვიდმეტი) ლარით.

1.3. მცხეთის მუნიციპალიტეტის ავტობუსი „PAZ -672 M“, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით YY 684 YV, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 1205 (ათასორასხუთი) ლარით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი